ქვიშაქვები, მათი ადგილი და როლი სტრატისფეროს აგებულებაში, მინერალოგიურ-სტრუქტურული დახასიათება და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ალექსი ალიოღლი

ელ-ფოსტა: aleksi.aliiogli331@ens.tsu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, საქართველო, 0186

წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომი ეძღვნება დანალექი ქანების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ჯგუფს - ქვიშაქვებს. ნაშრომში განხილულია ქვიშაქვების ადგილი დანალექი ქანების გენეტურ კლასიფიკაციაში, მათი ძირითადი მინერალოგიურსტრუქტურული მახასიათებლები, როგორიცაა გრანულომეტრია, მარცვლების დამუშავების ხარისხი, მინერალური შედგენილობა (ძირითადი და აქცესორული მინერალები), ცემენტის ტიპები და კლასიფიკაციები. წარმოდგენილია ქვიშაქვების კლასიფიკაციის სქემა. ყურადღება გამახვილებულია ქვიშაქვების ფორმირების განმაპირობებელ ძირითად გეოლოგიურ პირობებზე: მკვებავი სუბსტრატი, კლიმატი, ტრანსპორტირებისა და დალექვის პირობები, ტექტონიკური გარემო და დიაგენეტური პროცესები. მოკლედ არის მიმოხილული ქვიშაქვების პრაქტიკული მნიშვნელობა, როგორც სამშენებლო მასალისა და სასარგებლო წიაღისეულის (ნახშირწყალბადები, წყალი) რეზერვუარების. ნაშრომში ასევე მოყვანილია ქვიშაქვების სიმტკიცის ლაბორატორიული გამოცდის მეთოდიკა.